ხელშეკრულება № 37
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ფოთი 20 ნოემბერი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლის (შემდგომში - **შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო მორგოშიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ ორგსერვისი"დირექტორი ხვიჩა ნემსაძე** (შემდგომში - მიმწოდებელი) , სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
1.1. ხელშეკრულების საგანია; საკანცელარიო ნივთებისა და 2 საოფისე მაგიდის შესყიდვა , ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ(CPVკოდი, 22800000- 160.60.00, 39100000- 630.00) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით .

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება
2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 790.60 (შვიდასოთხმოცდაათი)ლარი და 60 თეთრი .
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.
მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება
3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა
მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით მისამართზე. სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N 7 საჯარო სკოლა. ჭყონდიდელის ქუჩა N33

მუხლი 5. მხარეთა უფლება - მოვალეობანი ;
5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.
გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის	შპს,,ორგსერვისი ‘’
ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლა	ს / კ 212693851
ს/კ 215113268	მის: აღმაშენებლის ქ. #37
მისამართი: ქ. ფოთი, ჭყონდიდელის 33	ტელ: 0322041100
ტელ: 591671520	საბანკო რეკვიზიტები: სს „ თიბისი ბანკი“
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“	ბანკის კოდი: TBCBGE 22
ბანკის კოდი: LBRTGE 22	ა /ა № GE32TB0300000030467356
ა/ა № GE83 LB0121139132424000	poti1@orgservice.ge
Poti7@mes.gov.ge	
დირექტორი ნ. მორგოშია	დირექტორი ხ. ნემსაძე

LTD Orgservice

Digitally signed by LTD Orgservice
Date: 2023.11.20 12:53:06 +04'00'

ხელწერილი N 37

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. ფოთი 20 ნოემბერი, 2023 წელი

ჩვენ / მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ , რომ სკოლა საჭიროებს საკანცელარიო ნივთებისა და 2 საოფისე მაგიდს შესყიდვას, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად შპს ორგსერვისი ‘’ - ს მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის
ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლის
დირექტორი ნ.მორგოშია

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი : ლ. კუჭუხიძე